

დურმიშხან ლაშხი

თსბუ ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

ზურაბ არაგვის ერისთავი ქართულ ისტორიოგრაფიასა და ფოლკლორში*

ზურაბ არაგვის ერისთავი ერთ-ერთი საინტერესო პოლიტიკური ფიგურა იყო XVII საუკუნის საქართველოში. ზურაბ არაგვის ერისთავის შესახებ საინტერესო ცნობები მოგვეპოვება, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში, ასევე ფოლკლორშიც: მაგ. ფშაურ, მთიულურ, ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ზურაბ არაგვის ერისთავის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდიან ანტონ ფურცელაძე („ბრძოლა საქართველოს მოსაპოვებლად და შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე“. მართალია აქ ძირითადი აქცენტი გაკეთებულია გიორგი სააკაძეზე, მაგრამ ზურაბ არაგვის ერისთავზეც საინტერესო ცნობებია დაცული), ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ზურაბ არაგვის ერისთავის როგორც პოლიტიკური პიროვნების შეფასება.

სერგი მაკალათიასთან, ელენე ვირსალაძესთან, პეტრე უმიკაშვილთან საინტერესოადაა ასახული ზურაბ არაგვის ერისთავის სახე ფოლკლორში. თვითეულ მათგანს თავიანთ ნაშრომებში გადმოცემული აქვთ მთის ხალხის თქმულებანი და დამოკიდებულება ზურაბ არაგვის ერისთავზე.

სამწუხაროდ ქართულ ისტორიოგრაფიაში და ფოლკლორში დაცული მასალები ზურაბ არაგვის ერისთავზე გაერთიანებული არ არის. ფოლკლორისა და ქართული ისტორიოგრაფიის ერთმანეთთან დაკავშირებით, ფაქტიურად შეივსება ის დანაკლისი, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაშია (რადგანაც ქართულ ისტორიოგრაფიაში არანაირი ცნობები არ არის დაცული ზურაბ არაგვის ერისთავის ბრძოლებზე მთიან ზოლზე).

XVII ს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი ეპოქაა. ეს არის ეპოქა გაორებულ თავადაზნაურთა, რომლებიც ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ თავიანთი ძალაუფლების გან-

*სტატია წარმოადგინა პროფ. ს. ვარდოსანიძემ

სამტკიცებლად. აი, რას აღნიშნავს არქანჯელო ლამბერტი იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოზე – „ქართლის მეფე ისე დასუსტდა, რომ თვითული ერისთავი გაუსწორდა მეფეს, თვითული მათგანი ცდილობდა მეფის უფრო და უფრო დასუსტებას და თავიანთი სათავადოების თვითპყრობელი მეფენი შეიქმნენ“. ზუსტად ასეთ პიროვნებას წარმადგენდა ზურაბ არაგვის ერისთავი, რომელიც მიეკუთვნებოდა იმ გაორებულ თავადთა ბანაკს, რომლებიც ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ იმისთვის, რომ მათ თავიანთი, ძალაუფლება განემტკიცებინათ. სწორედ ასეთ ქართველთა წარმოქმნას დიდად უწყობდნენ ხელს გარეშე ძალები.

საერთოდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XVII ს-ის კავკასიაში ხდება სამი, უზარმაზარი სახელმწიფოს ინტერესების თანხვდომა: ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის. მართალია რუსეთი ამ პერიოდში მაინცდამაინც არ არის დაინტერესებული საქართველოთი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მას არ სცალია ჯერ საქართველოსათვის, მაგრამ შეინიშნება ტენდენციები იმისა, რომ რუსეთი სულ ცოტა ხანში განაცხადებს პრეტენზიას საქართველოზე. რაც შეეხება ირანსა და ოსმალეთს, მათ შორის მოქმედებს 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საქართველო გაყოფილია ორ ნაწილად, დასავლეთი ეკუთვნის ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთი ირანს. სწორედ მათი ინტრიგების წყალობით წარმოიქმნენ ზურაბ არაგვის ერისთავის ნაირი გაორებული პიროვნებები.

ახლა რაც შეეხება ზურაბ არაგვის ერისთავს. ზურაბი იყო ნუგზარ არაგვის ერისთავის ვაჟი. ნუგზარ არაგვის ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, ერისთავი გახდა ზურაბის ძმა ბადური, ამ ფაქტს ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც. „მომკვდარ იყო ნუგზარ და დაჯდა ძეა მისი ბადურ, ამასა არა მორჩილ ექმნა ძმად თვისი ზურაბ, განაძო იგი და წარვიდა ცოლითა წინაშე შაჰაბაზისა, მან კეთილად შეინყნარა შუამდგომლობითა მოურავისათა, რამე თუ იყო აღზრდილ მოურავისა, შემდგომად მისცა ნიჭი შაჰ-აბას და ერისთაობა და გამოუტყვა ზურაბ და დაშთა ცოლი მუნ“ [I, 428]. ბერი ეგნატაშვილის თქმით კი ზურაბი არაგვის ერისთავი გახდა მამის სიცოცხლეშივე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა უფრო რეალობას უნდა შეესაბამებოდეს, რადგანაც 1618-1620 წ. ბადური იხსენიება არაგვის ერისთავად, ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ირკვევა, რომ ზურაბმა ერისთაობა ხელთ იგდო თავისი ძმის დამარცხების და არაგვის საერისთაოდან ბადურის გაქცევის შემდგომ.

შაჰ-აბასმა ქართლის მეფედ 1620 წელს დასვა სიმონი, რომელსაც ქართლში აუჯანყდნენ, ამიტომ სიმონი იძულებული გახდა, რომ წასულიყო და შაჰ-აბასისათვის ეთხოვა დახმარება. სწორედ ამ პერიოდში შაჰ-აბასმა ქართლში გამოაყოლა სიმონს, ზურაბ არაგვის ერისთავი (ამ დროს იგი წასული იყო ირანში, რათა შაჰ-აბასს დაემტკიცებინა არაგვის ერისთავად) და გიორგი სააკაძე. ირანელთა ჯართან ერთად, რომელსაც მეთაურობდა ყორჩიხა ხანი. მათ შაჰ-აბასმა დაავალა სიმონისათვის დაემორჩილებინათ ქართველნი. ეს ყველაფერი ფორმალურად. შაჰ-აბასს კი სხვაგვარი განსაზღვრა ჰქონდა – მას სურდა ქართლის აოხრება. ეს ყველაფერი სააშკარაოზე გამოჩნდა მას შედმგომ, რაც გიორგი სააკაძემ ლოჭინის ხეობაში დაიჭირა შაჰის შიკრიკი, რომელსაც ყორჩიხანისათვის მოჰქონდა წერილი. „ჰქონდა მოურავსა ჩვეულება, წარვიდოდა და მოუტევდა ქორსა, დღესა ერთსა კუალად განვიდა ქორისა მოსატევად ლოჭინსა და ნახა, რომე ერთი შათირი მოვიდოდა და იცნო ყაენისა შათირობაზე. უკმო მოურავმან შათირსა მას მოსვლად მასთანა, ხოლო შათირმან არა უსმინა და ვინაითგან არა მორჩილ ექმნა შათირი იგი მოუნია ცხენითა და შეიპყრნა, იძულებით გაჩხრიკნა და უნახა წიგნი, წაიკითხა და ესრეთ ეწერა ყორჩიხა ხანთან ყაენისაგან, ვითარმედ რაჟამს მოსრნათ კახნი, აჰყარნეთ ქართლნი და წამოასხით, ხოლო მოურავსა უღალატეთ მოსჭერ თავი და გამომიგზავნე.“ [1,40]

ამ წერილიდან ჩანს შაჰ-აბასის გეგმები. სწორედ ეს გახდა საბაზი იმ აჯანყებისა, რომელიც ქართლში მოაწყო გიორგი სააკაძემ და ზურაბ არაგვის ერისთავმა. თუმცა ზურაბ არაგვის ერისთავი ბრკოლდება აჯანყებაში მონაწილეობაზე და ამის ერთადერთ მიზეზს ასახელებდა მეუღლეს, რომელიც შაჰს ჰყავდა მძევლად თავისთან. სწორედ აქ გამოიჩინა დიდი გონიერება გიორგი სააკაძემ: „ზურაბ! უთხრა გიორგი სააკაძემ ხმის შეპარებით შენ ეხლა ისეთ ადგილას ხარ, რომ უკეთესი მოყვარეობა გეკადრების, შენა ხარ უძლიერესი მთავარი მთელსა ქართლსა და კახეთში, შენ ხარ ისევე ყმაწვილი, შეგიძლიან უფრო და უფრო გაძლიერება: შენ შეგფერის მოყვარეობა მეფეთა... მე გიშოვნე შენ შესაფერ ცოლს მე შეგერთავ შენ ლელა ბატონიშვილს ლუარსაბ მეფის დას“ [2,430]. ლუარსაბ მეფის დის შერთვით ზურაბ არაგვის ერისთავი ხდებოდა ტახტის მემკვიდრე, რადგანაც ლუარსაბს შვილი არ ჰყავდა.

სწორედ ამ დაპირებით დაიყოლია გიორგი სააკაძემ ზურაბ არაგვის ერისთავი. აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს ზურაბ

არაგვის ერისთავის გაორებულიობა და ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, რაც საერთო სენი იყო იმდროინდელი საქართველოსათვის (XVII ს.).

გიორგი სააკაძემ ზურაბ არაგვის ერისთავი, როდესაც დაიყოლია აჯანყებაში მონაწილეობაზე, მან იგი გააგზავნა, რათა მას ქართველებისათვის გაემხილა ნამდვილი განზრახვა შაჰ-აბასისა და ამასთან შეეგროვებინა ჯარი. გიორგი სააკაძემ ზურაბ არაგვის ერისთავს თან გააყოლა ანდუყაფარ ამილახორი, რომელიც ზურაბმა არშის ციხეში გამოკეტა „რამეთუ ყავდა ცოლად სვიმონ მეფის ცოლის დაჲ, ასული ყორჩიბაშისა“ [I,406]. ესე იგი ქართველები ანდუყაფარს არ ენდობოდნენ და სწორედ ამიტომ გამოკეტეს არშის ციხეში. ყოველივე ეს გიორგი სააკაძემ და ზურაბ არაგვის ერისთავმა შესძლეს ყორჩიხა ხანის დახმარებით, გიორგი სააკაძემ მოატყუა ყორჩიხა ხანი, რომ ანდუყაფარი და ზურაბი გავგზავნოთ და დავავალოთ, რომ ქართველნი მოიხმონ და ჩვენ ერთგულებაზე დავაფიცოთო (სინამდვილეში ზურაბ არაგვის ერისთავს უნდა შეეგროვებინა ჯარი აჯანყებისათვის) თვით გიორგი სააკაძეც არ გაჩერებულა გულხელდაკრეფილი, მან ირანელების ჯარი დააქუცმაცა და სხვადასხვა კუთხეებში გააგზავნა, რადგანაც დაქუცმაცებულ ჯართან ბრძოლა გაცილებით ადვილი იყო.

1623 წლის 25 მარტს მარტყოფში ქართველები მოულოდნელად დაესხნენ თავს ყორჩიხახანის ჯარს. თავად ყორჩიხა ხანი გიორგი სააკაძემ შუბით განგმირა, ხოლო ყორჩიხა ხანის ვაჟი გიორგი სააკაძის ვაჟმა მოკლა. ამ ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს „ესრეთ მისცა ძღვევაჲ ღმერთმა ქართველთ და გამემარჯვათ.“ [3,406] გიორგი სააკაძემ და ზურაბმა შეძლეს, რომ არა მარტო ქართლიდან გაეძევებინათ ირანელთა ჯარი, არამედ კახეთიდანაც და თვით კახეთის მმართველი ფეიქარ ხანიც კი გააქციეს კახეთიდან (ეს ის ფეიქარ ხანია, რომელსაც ყავდა ცოლად ლელა ბატონიშვილი).

გიორგი სააკაძემ და ზურაბმა, როდესაც კახეთი დაიკავეს, იქ ჩამოიყვანეს თეიმურაზი და გაამეფეს (ამ დროს იგი იმერეთში იყო გაქცეული) და ზურაბ არაგვის ერისთავმა შეირთო ცოლად თეიმურაზ I ქალიშვილი. რასაკვირველია, ყოველივე ეს შეუწყობდა ხელს ზურაბ არაგვის ერისთავის უფრო და უფრო გაძლიერებას, რადგანაც ამით ფაქტობრივად ზურაბ არაგვის ერისთავი ხდებოდა კახეთის მეფის სიძე.

1624 წელს შაჰ-აბასმა ქართლში რევანშის აღების მიზნით გამოგზავნა ოთხმოცათასიანი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობდა შაჰის სიძე ყორჩიბაში.

ოთხმოცათასიან ჯართან ბრძოლა ხუმრობა არ იყო, ამიტომ ქართველებმაც დიდი მზადება დაიწყეს.

ბრძოლა მართლაც, რომ დაუნდობელი იყო ქართველებმა პირველ დღეს გაანადგურეს თოთხმეტი ათასი ირანელი, ხოლო თვითონ ცხრა ათასი დაკარგეს. მიუხედავად ასეთი თავდადებისა ქართველები მაინც დამარცხდნენ. ბუნებრივია დაიბადება კითხვა, რა იყო ქართველთა დამარცხების მიზეზი? ბერი ეგნატაშვილის თქმით ქართველთა დამარცხების მიზეზი მარაბდის ბრძოლაში იყო ის, რომ შაჰ-აბასის ჯარს მიეშველა დასვენებული ჯარი, თანაც ბრძოლის ველზე მოიკლა თეიმურაზ მუხრანელი. ყოველივე ამან ჯარში შეიტანა არეულობა „და დაიძახეს თეიმურაზ მოკლესო, და მაშინ რა ესმა ქართველთ ეგონათ თუ ბატონი თეიმურაზი მოკლესო და მაშინლა ქართველნი ილტვოდნენ და გაიქცნენ.“ [4,409] ესე იგი მარაბდის ბრძოლაში დამარცხების მთავარი მიზეზი იყო ჯარში არეულობა, რომელიც გამოიწვია თეიმურაზ მუხრანელის მოკვლამ, ეს ბრძოლა მართლაც რომ დაუნდობელი იყო, ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა თვითზურაბ არაგვის ერისთავიც „შუბლზედ დაკოდილი იყო, თოფს გადაეკრა და უსუსტდებოდა გული“ [2,430]. მარაბდის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ყორჩიბაში იმის ცდაში იყო, რომ მას ანდუყაფარ ამილახორი როგორმე გაეთავისუფლებინა არშის ციხიდან, მათ (იგულისხმება ირანელები) ანდუყაფარი იმდენად არ აინტერესებდათ რამდენადაც ანდუყაფარის მეუღლე, რომელიც შაჰ-აბასის შვილიშვილი იყო. არშის ციხე იმისთანა მიუვალ ადგილას იყო, რომ მისი აღება შეუძლებელი იყო. ერთადერთი გზა საიდანაც შეიძლებოდა არშის ციხის აღება იყო არაგვის ხეობა. არაგვზე რომ გასულიყვნენ ზურაბ არაგვის ერისთავის თანხმობა უნდოდათ. სწორედ ამ მიზნით ხოსრო მირზამ მოლაპარაკება დაიწყო ზურაბ არაგვის ერისთავთან „გზაი მომეცო, ჯარსა გავგზავნი და იმ ქალს გამოვიყვან და წავალ ჩემთვინო“ [5,409] ეს ყველაფერი შესანიშნავად გამოიყენა ზურაბ არაგვის ერისთავმა, მან ირანელთა ჯარი გაატარა არაგვზე, ოღონდ ერთი პირობით „გზასა დავანებებ და არას დაგიშავებო, შევლით ჩემს მამულზედ შეიარეთ და ჩავლით ქსანზედ წამოდითო.“ [6,409] ზურაბმა, ზურაბის ძმამ და გიორგი სააკაძემ გზები შეუკრეს ირანელებს და იმდენი ირანელი დახოცეს, რომ „ქსანი შეიღება სისხლით და სისხლის ფერად დიოდა“ [7,410].

მიუხედავად ასეთი თავგანწირული ბრძოლისა, მათ ვერ შეძლეს, რომ ხოსრო მირზასთავის ქალი წაერთმიათ.

ქსანზე ბრძოლის შემდეგ გიორგი სააკაძესა და ზურაბ არაგვის ერისთავს შორის ურთიერთობა თანდათან დაიძაბა. ფაქტობრივად აქედან იწყება ზურაბის პოლიტიკური ამბიციები „ამისა შემდგომად უმეტესად განდიდნა ზურაბ ერისთავი და არლარა ერჩოდა მოურავს.“ [3,71] მიუხედავად ამისა ზურაბ არაგვის ერისთავი ყველანაირად ცდილობდა, რომ მას გიორგი სააკაძე არ გადაემტერებინა, რადგანაც სააკაძეს ამ დროს შესწევდა ძალა საიმისო, რომ ზურაბ არაგვის ერისთავი მიწასთან გაესწორებინა. თავის მხრივ, გიორგი სააკაძესაც არ აწყობდა ზურაბთან მთლად ურთიერთობის გართულება, რადგანაც ზურაბ არაგვის ერისთავი ძლიერ ძალას წარმოადგენდა და გიორგი სააკაძეს თავისი მიზნების განსახორციელებლად ჭირდებოდა. თავის მხრივ ზურაბ არაგვის ერისთავიც ფიქრობდა, რომ სააკაძეს გამოიყენებდა მუხრანბატონებთან ბრძოლაში (ამ დროს ზურაბი ცდილობდა რომ შემოეერთებინა სამუხრანო). მაგრამ ზურაბი შეცდა, რადგანაც მუხრანბატონები გიორგი სააკაძის ერთგულნი იყვნენ და გიორგი სააკაძე მათ ბუნებრივია ვერ გასწირავდა და მუხრანბატონების სახით ახალ მტერს არ გაიჩენდა.

ზურაბ არაგვის ერისთავს არა მარტო სამუხრანოს ხელში ჩაგდება უნდოდა, არამედ დარიალის გზისაც, რადგან ეს გზა იყო ერთადერთი გზა რუსეთისაკენ მიმავალი. ამ გზას ხელში თუ ჩაიგდებდა ზურაბ არაგვის ერისთავი, ბუნებრივია, იგი უფრო გაძლიერდებოდა მაგრამ მეორე მხრივ ზურაბ არაგვის ერისთავის გაძლიერება არ აწყობდა არც გიორგი სააკაძეს და არც თეიმურაზ I. რასაკვირველია, ყოველივე ამას ზურაბიც ხვდებოდა და ალლოც აულო. იგი მოვლენების განვითარებას კი არ დაელოდა, პირიქით მან გიორგი სააკაძე და თეიმურაზ I ერთმანეთს დაუპირისპირა და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი დასრულდა ბაზალეთის ტრაგედიით.

რაც შეეხება ბაზალეთის ტრაგედიას, ამ სამარცხვინო ლაქას ჩვენს ისტორიაში. ამ ბრძოლის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გავრცელებული. ერთი მოსაზრების თანახმად, რომელსაც ანტონ ფურცელაძე ავითარებს, გიორგი სააკაძეს არ უნდოდა ბაზალეთის ბრძოლა და იგი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რათა ეს ბრძოლა თავიდან აეცილებინა. აი რას აღნიშნავს ანტონ ფურცელაძე: „გიორგი სააკაძემ თავისი ჯარი როდესაც აიყვანა ბაზალეთზე, მან ნება მისცა ჯარს, რომ მათ დაესვენათ და ცეცხლი დაენთოთ (ამ დროს სააკაძის ჯარი წვიმისაგან იყო დასველებული) ყოველივე ეს შესანიშნავად გამოიყენა ზურაბ

არაგვის ერისთავმა, მან დასვენების საშუალება არ მისცა გიორგი სააკაძის ჯარს და პირდაპირ შეტევაზე გადავიდა. გიორგი სააკაძე ყოველგვარ ღონეს ხმარობდა რომ იგი ამ ბრძოლაში არ ჩარეულიყო. ამიტომ იგი გამოვიდა ბრძოლის ველიდან, მაგრამ დაინახა რა, რომ ბრძოლა გაძნელდა და საჭირო შეიქმნა ჯარის გამხნევება მან ხერხს მიმართა, თავის ცხენზე შესვა დავით გოგოლიშვილი, ჩააცვა თავისი აბჯარი და შეუშვა ბრძოლის ველზე, როდესაც გოგოლიშვილი შეიჭრა ბრძოლის ველზე, იგი ყველას ეგონა გიორგი სააკაძე, ყოველივე ამან ჯარში სიმხნევე შეიტანა.“

ზურაბ არაგვის ერისთავმა გიორგი სააკაძის წინააღმდეგ მონაწილე შეთქმულება. შეთქმულნი გიორგი სააკაძეს გზას გაუხსნიდნენ თეიმურაზისაკენ და უეცრად ალყას შემოარტყამდნენ, ფაქტიურად გიორგი სააკაძე ალყაში მოექცეოდა.

დავით გოგოლიშვილი შეიჭრა თუ არა გიორგის ცხენით და აბჯრით ბრძოლის ველზე, შეთქმულებმა (ამ დროს ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს იყო გიორგი სააკაძე) გზა გაუხსნეს გოგოლიშვილს თეიმურაზ I-საკენ, ამით ისარგებლეს შეთქმულებმა და გარს შემოერტყნენ გოგოლიშვილს, რომელიც სასტიკად აკუნეს იმ იმედით, რომ იგი იყო გიორგი სააკაძე.

დაინახა რა მოურავის ჯარმა, რომ გიორგი სააკაძე მოკლეს (ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სააკაძე მოკლეს), კვლავ აირივნენ, სააკაძე იძულებული გახდა, რომ ბრძოლაში ჩაბმონ, მან ყიჟინა ატეხა, რათა ჯარისკაცებს შეემჩნიათ. მაგრამ ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, გიორგი სააკაძე სასტიკად დამარცხდა და იძულებული გახდა, რომ ოსმალეთში გადახვეწილიყო.

გიორგი სააკაძის ოსმალეთში გადახვეწის შემდეგ, ზურაბ არაგვის ერისთავის თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. როგორც ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს ზურაბს უნდოდა, რომ ქართლში სვიმონისათვის შეეწყო ხელი, რათა მას უშფოთველად ემეფა; ხოლო კახეთში თეიმურაზისათვის – „და თვითონ ორთავე ზედა კადრებდეს და ვერარას მოქმედებდნენ მასსა“ [8,410]. მაგრამ თეიმურაზმა გონიერება გამოიჩინა, მან ზურაბ არაგვის ერისთავს მოაკვლევინა სვიმონი „მძინარესა სარეცელსა ზედა ღალატად მოკლა იგი წარკვეთა თავი და წარსცა ბატონ თეიმურაზს“ [9,411].

სანაცვლოდ კი ზურაბმა თეიმურაზ I-გან მიიღო თიანეთის მამულები. თეიმურაზ I ზურაბ არაგვის ერისთავს აღარ ენდობოდა, რადგანაც თეიმურაზი შესაძლებელი იყო ისეთივე დღე-

ში ჩაეგდო ზურაბს, რა დღეშიც სვიმონი ჩააგდო. ზურაბ არაგვის ერისთავისაგან ყოველივე ეს შესაძლებელი იყო, რადგან ძალაუფლების გულისათვის ზურაბი ყველაფერს იკისრებდა. ამიტომ თეიმურაზ I ნახა მკვლელნი და ზურაბი თავიდან მოიშორა „ვინაითგან ესრედ განდიდნა ერისთავი ზურაბ და არვის ნებავს უფლება ქართლსა და კახეთსა ზედა და რომელი უნებს დააყენებს და რომელსაც არა ვნებს, რომელსა მემკვლელ ექმნების და რომელსამე განაძებს და ან მნებავს სიკვდილი მისი და თქვენ დაიდუმეთ საიდუმლო ესე და რომელსა მე ჟამსა გამცნო სიკვდილი მისი თქვენ ნუ ურჩ მექმნებით“ [10,411].

თეიმურაზმა მოიხმო ზურაბ არაგვის ერისთავი საფურცლეს და ვერაგულად მოაკვლევინა „და უხმო ზურაბ ერისთავს და მოკლა იგი და იშვებდნენ და ლხინობდნენ და ვერა აკრძნა ერისთავმან და დღესა ერთსა მსხდომარე იყვნენ მონანი მისნი, მაშინ წამ უყვნა ბატონმა თეიმურაზმა, ხოლო მათ აღიღეს მახვილი უგრძნობელად ერისთავისა და ინივით მჯდომარესა უღალატეს და მოკლეს და აღსრულდა ბრძანება უფლისა მისისა ზედა ვითარმედ „რომელმან აღიღოს მახვილი მახვილითაც წარწყმდეს“ [11,411]. თეიმურაზ I ზურაბ არაგვის ერისთავის მოკვლის შემდეგ წავიდა დუშეთს და წამოიყვანა თავისი ასული, რომელიც იმერეთის მეფეს ალექსანდრეს მიათხოვა.

ეს რაც შეეხებოდა ზურაბ არაგვის ერისთავს ქართლს ისტორიოგრაფიაში. ეხლა დგება საკითხი თუ როგორ უნდა შეფასდეს ზურაბ არაგვის ერისთავი ქართულ ისტორიოგრაფიაში თავისი გაორებულით და პოლიტიკური ამბიციებისა გამო. იგი უნდა შეფასდეს, როგორც უარყოფითი პიროვნება, მაგრამ ერთი ხელის მოსმით არ შეიძლება მისი მიწასთან გასწორება, რადგანაც მან მართლაც, რომ ბევრი სასიქადულო საქმე გააკეთა ქართველი ხალხის წინაშე. ამიტომ როდესაც დგება საკითხი ზურაბ არაგვის ერისთავის შეფასებასთან დაკავშირებით, საჭიროა ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით განვსაჯოთ მისი ქმედებანი.

ნებისმიერ ადამიანს გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. ამიტომ საჭიროა, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეების განხილვა და რომლის მხარესაც გადაიხრება სასწორი, იმის მიხედვით უნდა შეფასდეს ზურაბ არაგვის ერისთავი.

განვიხილოთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე ზურაბ არაგვის ერისთავისა. თავიდანვე თითქოსდა სისხლში ჰქონდა გამჯდარი ზურაბს ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. იგი ყო-

ველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ხელში ჩაეგდო ძალაუფლება. იგი სწორად ამის გამო სასტიკად გაუსწორდა თავის ძმას ბადურს. მან საკუთარი ძმა გასწირა, მაგრამ ზურაბ არაგვის ერისთავმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებში. იგი დაუდგა ეროვნულ ინტერესებს გვერდით და მართლაც, რომ დიდი საქმე გააკეთა. რომ არა ზურაბი და გიორგი სააკაძე, შესაძლებელი იყო ქართველები გადავშენებულიყავით კიდეც. ისიც გასათვალისწინებელია, რომ როცა გაორებული ადამიანის (ამ შემთხვევაში ავიღოთ ზურაბი) ინტერესებისა და სახელმწიფოს ინტერესების თანხვედრა ხდება, გაორებული ადამიანი მაშინათვე განუდგება სახელმწიფოს, ერს. სწორედ ასე მოიქცა ზურაბ არაგვის ერისთავიც. იგი ქვეყანას განუდგა, როდესაც მან პირადი ამბიციები ვერ დაიკმაყოფილა. გავიხსენოთ თუ როგორ მოექცა ზურაბი სიმონ მეფეს და ღალატით მოკლა, იმისთვის, რომ თავისი ამბიციები დაეკმაყოფილებინა. თეიმურაზ I რომ თავიდან არ მოეშორებინა ზურაბი, ადვილი შესაძლებელი იყო თეიმურაზიც ისეთივე დღეში ჩაეგდო, რა დღეშიც სიმონ მეფე აღმოჩნდა. ეს თეიმურაზმაც იცოდა და ალბათ, სწორედ ამიტომ მოაკვლევინა ზურაბი.

ზემოთ მოყვანილი ისტორიული მასალების მიხედვით ძნელია ზურაბ არაგვის ერისთავი შევაფასოთ, როგორც დადებითი პიროვნება, რადგანაც სასწორი უარყოფითისაკენ უფრო იხრება. ამიტომ იგი უნდა შეფასდეს უარყოფით პიროვნებად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პიროვნებას, რომელსაც არ გააჩნია ეროვნული თვითშეგნება და არ არის მომხრე ერთიანი ცენტრალური ხელისუფლებისა და ყოველგვარი ღონეს ხმარობის იმისათვის, რომ მეფის ხელისუფლება დაასუსტოს და ამის წყალობით თვითონ გაძლიერდეს, ასეთი პიროვნება ძნელია შეფასდეს როგორც დადებითი პიროვნება.

არანაკლებ საინტერესო ცნობები მოგვეპოვება ფოლკლორში ზურაბ არაგვის შესახებ. აქ შესანიშნავად არის ასახული ზურაბ არაგვის ერისთავის ბრძოლები მთიანეთში, რაც საშუალებას გვაძლევს ის დანაკლისიც შევაფასოთ, რაც ისტორიოგრაფიაშია (ისტორიოგრაფიაში თითქმის არანაირი ცნობები არ მოგვეპოვება ზურაბის მიერ მთის დალაშქვრის შესახებ) და ზურაბ არაგვის ერისთავს მიუჩინოთ ის ადგილი რაც მას ეკუთვნის ქართულ სინამდვილეში.

1619-1629 წ. ზურაბ არაგვის ერისთავმა ილაშქრა ფშავეში, მთიულეთში, ხევში და ხევსურეთში. ამ კუთხეებში მცხოვრებმა მოსახლეობამ გააღიქსა ზურაბ არაგვის ერისთავის ბრძოლები მთაში.

ზურაბმა პირველი დარტყმა მიაყენა მთიულებს. ზურაბს უნდოდა რომ მთიულები თავისი ზეგავლენის ქვეშ მოექცია. ამიტომ მან ილაშქრა მთიულეთში.

პირველად მთიულეთ-ხევისკენ გაილაშქრა და ძლიერი ბრძოლის შედეგად ეს მხარე დაიმორჩილა. შედგომ ფშავ-ხევსურეთისაკენ გაილაშქრა და ორწყალში ჩავიდა. ორწყალთან ზურაბს ფშავ-ხევსურები შეებრძოლენ:

„ფშავში ამოხველ ზურაბო,
ლალას და კულუხს ელიო,
ფშაველებმა გამოგაქციეს,
დღე დაგაყარეს ცხელიო“ [1,24].

ორწყალში ზურაბის დამარცხება ფშაველებს შემდეგნაირად გაუღექსავთ:

„აკი გითხარი ზურაბო,
ფშაველის ხელი სენია,
შენ ეგ არ დაგიჯერებავს,
არცა რამ მოგისმენია.
ორწყალში შემოგივლია,
ხალიჩა მოგიფენია,
მანდ მოგივიდნენ ფშაველნი,
დღე დაგაყარეს ცხელია.“ [2,24]

სამაგიეროდ ზურაბმა ფშაველები დაამარცხა მათურის ხეობაში და იქ დიდი სისასტიკე ჩაიდინა. ხალხური ამბის თანახმად, ზურაბ არაგვის ერისთავს, საკირეებზე დაუდგამს დიდი სალუდე და საარაყე ქვაბები, რომლებშიც ჩაუყრია და უხარშია ფშაველები, ხოლო ქვეშ შეშად ხევსურები შეუნთია.

რასაკვირველია, მეზობელი ბუნების ფშაველები ვერ შეეგუებოდნენ ზურაბის ბატონობას, ამიტომ მათ ზურაბმა ბრძოლა გაუმართა მათურას ხეობაში, სადაც ფშაველებს ზურაბი სასტიკად დაუმარცხებიათ. დამარცხებულ ზურაბს ვერაგობა ჩაუდენია მას იერიში მიუტანია ფშაველების ერთ-ერთ ყველაზე წმინდა სალოცავზე, ლაშარის ჯვარზე, რომლის ყმად მთელი ფშავი ითვლებოდა:

„ზურაბს ჯავრი კლავს ორისა,
ზენა მთის, ქვემოთ ბარისა,
ხევსურეთს ჭორმეშავისა,
ფშავი ლაშარის ჯვარისა.“ [3,25]

ზურაბ არაგვის ერისთავმა კარგად იცოდა, რომ ლაშარის ჯვარის ხელში ჩაგდებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა, ფშავის დასაპყრობად, რადგანაც მთელი ფშავის ხევი ემსახურებოდა მას. ამასთანავე ლაშარის ჯვარი რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი იყო. აქვე ესვენა ლაშარის დროშაც, აქვე წყდებოდა სათემო საქმეც:

„ეგებ ჯავრს ამოვიყრიდე,
ფშავში ლაშარის ჯვარზედა“

ზურაბ არაგვის ერისთავს ფშაველებმა დიდი წინააღმდეგება გაუწიეს და ერთგულად იცავდნენ ლაშარის ჯვარს, მაგრამ ფშაველები დამარცხდნენ ზურაბთან ბრძოლაში. აქ ზურაბ არაგვის ერისთავს გამოუჩენია ვერაგობა, შურისძიების მიზნით, ხალხური გადმოცემით, ზურაბი შედგომია ლაშარის ჯვარზე მდგარ „ბერმუხის“ მოჭრას, რომელშიც ფშაველთა რწმენით იყო ანგელოზი დაბუდებული. როდესაც ხე მოიჭრებოდა ანგელოზიც გამოვიდოდა „ბერმუხიდან“, რომელიც მოლაშქრეთა დიდი წინამძღვარი იყო. ზურაბ არაგვის ერისთავმა „ბერმუხა“ ვერ მოჭრა, რადგანაც რამდენჯერაც ცულს დაარტყამდნენ ატეხილი ნაფოტი კვლავ უმთელდებოდა. გადმოცემით „ერთ უკანა ფშაველს, გვარად აფციაურს, თემისთვის უღალატია და ზურაბისათვის ურჩევია, მუხისთვის კატის სისხლი წაესვა. ასეც მოქცეულა, მუხა იმწამსვე წაქცეულა და ანგელოზიც მოშორებია“:

„ბებერსა ლაშარის ჯვარსა
ხმელ გორზედ ედგა ბერმუხი
წვერს ება შიბი ოქროსი,
ზეცას ავიდის კიბითა.
სულძალღმა ერისთვიშვილმა
ამოუბრუნა ძირითა.“ [4,26]

ზურაბ არაგვის ერისთავის ვერაგობას მთელი ფშავი აუმხედრებია და დიდი რისხვა გამოუწვევია. ზურაბი იძულებული გამხდარა უკან გამობრუნებულიყო:

„ორწყალში ჩავა ზურაბი,
ქალია ჩიქილიანი.“

ამგვარად, ხანგრძლივი ბრძოლების მიუხედავად, ზურაბმა მაინც ვერ შეძლო ფშავის დამორჩილება. დამარცხებული ზურაბ არაგვის ერისთავი შერიგების გუნებაზე მოვიდა და ფშაველებს შეურიგდა, ხოლო ცოდვის მონანიების მიზნით მან ლაშარის ჯვარს შესწირა ზარი. ხევსურეთში ზურაბ არაგვის ერისთავმა გაილაშქრა ორწყალით, მაგრამ სანამ იგი ხევსურეთში გადავი-

დოდა, მას უნდა გაეველო ფშავი, მაგრამ ფშაველებმა არ გაუშვეს ხევსურეთისაკენ. ამიტომ იგი იძულებული გახდა, რომ გუდამაყრის ხეობით გადასულიყო ხევსურეთში და ლიქოკის ხეობაში შეიჭრა. ლიქოკის ვიწრო და მაგარი ხეობა ზურაბს დიდხანს ვერ გაუტეხია.

ხევსურეთში ლიქოკის ბრძოლასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო ხალხური თქმულებაა: „ზურაბ არაგვის ერისთავს ლიქოკის ხეობა დიდხანს ვერ გაუტეხია და როგორც ფშავში, აქაც მას განუზრახავს შურისძიება ლიქოკის „ხმალა ხატზე“ მდგარ ალვის ხეზე, რომელსაც მირონი მოდიოდა და ხალხი ინათლებოდა ამ მირონით. ზურაბის ჯარს ხე ვერ მოუჭრია, რადგანაც ხეს ცულს რამდენჯერაც დაარტყავდნენ, ხე უფრო მაგრდებოდა. მაშინ ერთ ღულელ ალიშაურს უსწავლებია ზურაბისათვის, რომ ალვის ხისათვის კატის სისხლი წაესვათ და ხე წაიქცეოდა. ზურაბ არაგვის ერისთავი ასეც მოქცეულა და ალვის ხე წაუქცევია, ანგელოზიც გასცლია ლიქოკის ხეობას და ზურაბსაც ლიქოკი ახალ წელს დაუმარცხებია. მხოლოდ სოფელი აკუშო ვერ აუღია:

„აკუშოს რად მოხვიდოდი,
ზურაბ არ იყავ ჭკვიანი“.

ზურაბ არაგვის ერისთავს მესამედაც მოუხდა ხევსურეთის დასაპყრობად გალაშქრება, მაგრამ ამჯერად იგი ხევის გზით გასულა და სოფელ როშკაში შეიჭრა.

ზურაბ არაგვის ერისთავის გამოლაშქრება ხევსურებისათვის მოულოდნელი ყოფილა და ბუნებრივია, ბრძოლისთვის ისინი მზად არ იყვნენ. ამიტომ მათ ზურაბისათვის დაზავება უთხოვიათ და ბეგარასაც კისრულობდნენ, როგორც ჩანს ზურაბი არ დაკმაყოფილებულა ბეგარას და ხევსურებისათვის ყმობა მოუთხოვია. რასაკვირველია ხევსურები ყმობას ვერ შეეგუებოდნენ. ამიტომ ზურაბსა და ხევსურებს შორის ბრძოლა მომხდარა სოფელ გუდანთან, სადაც დიდი გმირობა გამოუჩენია ხევსურ მამუკა ქალანდაურს:

„თან მოჰყვნენ ქალანდაურსა
მამუკას შუქნი მიზასანი,
ბეგენტ გორს ჩამოენია,
ჯარი სჭრა ზურაბისანი.“ [1,25]

ამ ბრძოლაში ზურაბ არაგვის ერისთავი სასტიკად დამარცხებულა, უფრო მეტიც მისი ჯარის ნაწილი თითქმის განადგურებულა, ხოლო ქალანდაურს გამარჯვების აღსანიშნავად ბეგენტ

გორაზე სამანი დაუდგამს. ბეგენტ გორასთან დაკავშირებით საინტერესო ლეგენდა აქვთ ხევსურებს. ამ ლეგენდის თანახმად ბეგენტ-გორაზე არის ერთი დიდი ლოდი, რომლის ქვეშაც არის ქალანდაურის საფლავი და ეს ადგილი ხევსურებს წმინდა ადგილად აქვთ მიჩნეული. თუ აქ მამაკაცი ცხენით გაივლის, ის აუცილებლად ცხენიდან უნდა ჩამოხტეს და ფეხით გაიაროს. არის შემთხვევები, როცა ამ ქვაზე სანთლებსაც ანთებენ და ზედ ლოცულობდნენ. ხალხური თქმულების თანახმად, ზურაბ არაგვის ერისთავს, რომ ხევსურები ვერ დაუმორჩილებია, მას ხევსურები თავისთან დაუბარებია ნადიმზე, იარაღი აუხსნია ნდობით და ვერაგულად დაუხოცია ნი კაცი. ალუდა ალექსაური გადარჩენილა, რომელსაც ზურაბის მეღვინე მოაუკლავს და გაქცეულა. ხევსურები ამ დღეს დღესაც მწარედ იგონებენ და გალექსილი აქვთ სხვადასხვანაირად:

„ზურაბ ერისთავიშვილო,
სისხლიმც დაგლევეს წყალია,
თრუსოს ანიე ხევსურნი,
ღალატით დაშქერ თავია“ [2,26]

„ზურაბ ქვეყანა აიფრო,
ხევსურებს ვერა ხდებისა,
ჩამომივიდნენ ხევსურნი,
ვინც ომში გამოდგებისა,
მარტია მისურაული,
ნიადაგ ნუ დადგებისა.
თრუსოს ჩავიდნენ ხევსურნი,
ზურაბ სადილზე ჯდებისა...
ხევსურთ მოსვლითა ზურაბსა
მზე ცხრა გნივ აუდგებისა
მარტია მისურაული
ხევსურებს ეუბნებისა:
ხმლებს ნუ დაიხსნით ხევსურნო,
ზურაბ არ დაინდობაო,
არ დაიჯერეს ხევსურთა
ზურაბი გაჯავრდებაო,
დადგნენ, დავარდნენ ხევსურნი,
ზურაბ მეღვინედ დგებაო,
ოქროს თასს უვსებს ღვინითა,
ხევსურთ ბიჭები თვრებაო,
მოღალატენი ხევსურთა
ხმლებით თავს დაადგებაო.“ [1,98]

„დეშეთით ქორი აფრინეს,
 არაგვი შეინადირეს,
 ხევსურთ ქათამს დაეცა,
 იქ ნაბერალი ადინა,
 დასდევს, დარიგდეს ხევსურნი,
 თავ ზურაბ დაადგებაო,
 დაუსხამს ნითელ ღვინოსა,
 ვერცხლისა თასებზედაო,
 სამოცი თავი ჰგორავდა,
 სამოცსა ხევსურისაო.“ [2,98]

მაგრამ მიუხედავად ზურაბის ინტრიგებისა, მან მაინც ვერ შესძლო ხევსურების დამორჩილება. ზურაბ არაგვის ერისთავი მათთან ბრძოლაში დამარცხდა. მან ვერ მიაღწია სასურველ შედეგს, ხოლო გამარჯვებულმა ხევსურებმა ეს ამბავი ასე გალექეს:

„ხევსურეთშია ზურაბო,
 ვერა იქმნ ერისთაობას,
 გაგინვრილდება კისერი,
 ვერ შეძლებ ქვეყნის თაობას.“ [3,26]

ფშავისა და ხევსურების მსგავსად ზურაბმა ილაშქრა მთიულეთში, მაგრამ როგორც ფოლკლორიდან ჩანს, ზურაბზე ადრე მთიულეთში ულაშქრია ზურაბის მამას ნუგზარს, რომელსაც მთიულეთი განსაკუთრებული სისატიკით აუწიოკებია – „ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმები სდისაო“. მას შემდეგ რაც ნუგზარი გარდაიცვალა და ერისთავი გახდა ზურაბი, მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. ზურაბმა რამდენჯერმე სცადა ამ მხარეში თავისი ძალაუფლების განმტკიცება, რაც საფუძველს უყრიდა აჯანყებების მომზადებას მთიულეთში. მიუხედავად აჯანყებისა, ზურაბმა ისინი დაამარცხა და მთიულეთი დაიპყრო. ეს კუთხე დარიალის ხეობამდე შემოიმიტკიცა.

ზურაბის ექსპლოატაციას მთიელები ვერ ეგუებოდნენ, მაგრამ მათ იმის ძალაც არ შესწევდათ, რომ ზურაბის ბატონობა თავიდან აეცილებინათ. ამიტომ ისინი ხშირად იხიზნებოდნენ ხან ხევსურეთში, ხან ფშავში. ამის შესახებ არა ერთი ეპიზოდური ხასიათის თქმულებაა გალექსილი და ხალხში დღემდე დაცული. მაგ: სოფელ გამის გლეხი მიქა წიკლაური ზურაბთან ბრძოლაში დამარცხებულა და ცოლშვილით გაქცეულა ხევსურეთში, აქ ორმო ამოუღია, ზედ ქვა დაუფარებია და ამგვარად იქ დამალულა, მაგრამ ჯაშუშ თლოშიას ის გაუცია, ზურაბი მას დასხმია თავს და ცოლშვილით ამოუხოცია:

„ზურაბ შე ერისთავიშვილო,
რა თავი გედიდებაო,
გვიხოცავს აზნაურები,
ყორნები ეზიდებისო,
თლოშიაც ბადუნაურო,
პირი მზეს დაგლევეს ჯარიო,
დაგვთხარე სამარიდანა,
ცოლშვილს დაგვიჭერ ყელიო.“ [4,26]

აი ასეთი საშინელებები ჩაიდინა ზურაბ არაგვის ერისთავმა მთაში, მაგრამ საინტერესი ის არის, რომ ხევსურებმა სიცოცხლეშივე უზინასწარმეტყველეს, რომ მასაც ისეთივე ღალატის სიკვდილი ელოდა საფურცლეს, როგორც მან ღალატით მოკლა ხევსურები:

„შენც დაგდევეს ერისთავიშვილო, ზურაბო სისხლის წყალიო, თრუსოს ჩაჰყარნე ხევსურნი, ხელით არჩინე ყმანიო, გაატეხინე დვალეთი, თეთრი მალღალე ცხვარიო, თრუსოს მასახნენ მაშვრალნი, დანდობით დასჭერ თავიო, რად არ სწორდი, სწორდ გაუშვი ხევსურთ და შენი ყმანიო, დაჯედ მეთვალედა, რომელთ უფრო სჭრის ხმალიო ომს ხევსურნ განახვიებენ, თარს ქვეშ ნანურნი ყმანიო, მე დაგწყევ ერისთავიშვილო, რომ დაგწყევ ისრედ მოგივა თვალი დასთხარი ძმას გიორგისა, გივიმც ყენში გაგივა ურუმნიც ბარძიძს მოკლავენ, მუხმენც დათუნი მოგივა, ზაალს ნალღალავს რუსეთსა, შინ მთელიც ნულა მოგივა, შენც საფურცლესა დარჩები, ხევსურთ გულსიმც მოგივა“ [3,98]

მართლაც აუხდა ზურაბს ხევსურების წინასწარმეტყველება და იგიც ისეთივე ღალატით მოკლა საფურცლეს თეიმურაზ I-მა, როგორც მან მოკლა ხევსურნი. საინტერესოა თვით ზურაბის სიკვდილი ასახული ფოლკლორში:

„საფურცლეს ზურაბ მოვიდა
ლერწამი ზღვის პირისაო,
გაუშალეს ხალიჩები,
ზურაბ ზედ დაბრძანდებისო,
აუყვავებენ სუფრასა
ზურაბ შაექეც სუფრასო...
ზურაბო გიღალატებენ,
ელიან შენგან ძილსაო.
ხმლით სცემს ბარამ ბატონი
დაჰკარით კახპის შვილსაო,

ხანჯალი თუშთ მოურავმა
დაუსო უბის ძირსაო
მუხრანით მოდის ტირილი
სულძალლი ერისთვისაო.“ [4,99]

ზურაბის დატირებმა მთიულებმა შემდეგნაირად გალექეს:

„ვინ მოგკლა შვილო ზურაბო,
ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა, არაგვისაო,
ალარავინა მეგონა, მომრევი ზურაბისაო
ზურაბის ცოლი ტიროდა „ვაი უდროოდ ქვრევსაო,
ამ ჩემის ღალატისთვისა, თეიმურაზ მოგიკვდებაო.“ [5,103]
„შენ გენაცვალოს დედაო, ზურაბ თავ შეუდეგარო,
დაჭრილო და დაკოდილო, ზედ წამალ დაუდეგარო,
სიყმანვილიდან სიბრძნემდე, შენ დღეში დაუდეგარო“ [6,104]

შევაფასოთ ზურაბ არაგვის ერისთავის სახე ფოლკლორში. ისევე როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში, ანალოგიურად ფოლკლორშიც ზურაბ არაგვის ერისთავი უნდა შეფასდეს, როგორც უარყოფითი პიროვნება. არცაა გასაკვირი, რადგანაც ზურაბმა იმდენი მტარვალობა ჩაიდინა მთის მოსახლეობის წინაშე, (იგულისხმება ფშავი, მთიულეთი, ხევსურეთი) რომ ძნელია ზურაბისადმი, რაიმე სიმპათია გაგიჩნდეს ადამიანს. მართო იმ ფაქტის გახსენება რად ღირს, როგორი სისატიკე გამოიჩინა ზურაბმა ხევსურების მიმართ. მათ ვერაგულად 60 კაცი მოუკლა; ან ფშავში ჩადენილი საშინელება. კიდევ მრავალი ასეთი საშინელება ჩაიდინა ზურაბ არაგვის ერისთავმა, იმის გულისათვის, რომ თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა იგი არავის და არფერს ზოგავს. ყოველივე ზემოთ მოყვანილი ფაქტები საკმარისია, რომ ნათლად დავინახოთ ზურაბ არაგვის ერისთავის გაორებული სახე. ისევე როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში, ასევე ფოლკლორშიც, მან ადგილი დაიკავა, როგორც გაორებული, მოღალატე და უარყოფითმა პიროვნებამ.

დამონმებული ლიტერატურა და წყაროები

1. ვახუშტი ბატონიშვილი, „ქართლის ცხოვრება,“ ტ. IV, თბილისი, 1973 წ.
2. ბერი ეგნატაშვილი ქართლის ცხოვრება ტ. II, თბილისი, 1959 წ.
3. სერგი მაკალათია. ფშავი, თბილისი „ნაკადული“ 1985 წ.
4. სერგი მაკალათია. ხევსურეთი თბილისი „ნაკადული“ 1984 წ.
5. უმიკაშვილი პეტრე ხალხური სიტყვიერება ტ.4. თბილისი 1964 წ.

Durkishkhan Lashkhi

Second Course Student, Department of History, TSPU

**Zurab, the Eristavi of Aragvi, in Georgian Historiography
and Folklore**
(Summary)

Zurab, the Eristavi of Aragvi, was one of the most interesting political figure of 17th century Georgia. In both Georgian historiography and folklore (for example, in Pshavi, Mtiuleti and Khevsureti oral tales), we can find interesting facts about Zurab, the Eristavi of Aragvi. In Georgian historiography as well as in folklore, he takes his place as a traitorous and negative person.